

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო¹

თბილისი, 13-14 ნოემბერი 2015 წ.

მეხუთე სხდომის ოქმი

2015 წლის 13-14 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ლოპოტაზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეხუთე სხდომა გაიმართა. სხდომას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ორგანიზებული დანაშაულის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ახალი პროექტები, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და პრობლემები. საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს სტრატეგიის პროექტში დამატებითი მიმართულებების ასახვის საჭიროებასა და „სამართალდამცავ სფეროში უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“ 2013 წელს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული თემების განხილვის შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც წარმოდგენილმა მხარეებმა თავიანთი შენიშვნები და რეკომენდაციები გამოთქვეს.

მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამმართველოს გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსმა ანა გვენეტაძემ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ახალი პროექტები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტები მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის შესაბამისია. მან სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ახალი პროექტების განხორციელების საკითხში შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული მხარდაჭერა აღუთქვა და განაცხადა, რომ მთავრობის ადმინისტრაცია მზად არის, სტრატეგიაში შემავალი ყველა საკითხი შესაბამის სამინისტროებთან განიხილოს და შინაგან საქმეთა სამინისტრო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ნებისმიერი სახის დოკუმენტის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოს.

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ სანიკიძემ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები ასევე დადებითად შეაფასა და დასძინა, რომ მონიტორინგის პროცესში სამთავრობო სექტორთან ერთად არასამთავრობო სექტორის ჩართულობა ძალიან

¹ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და დებულება დამტკიცდა 2013 წლის 13 ივლისს საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებით.

მნიშვნელოვანია, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს. ზურაბ სანიკიძემ ასევე განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროში არსებული სისხლის სამართლის საბჭოს ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფს, რომელიც არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის თემატიკაზე მუშაობს, დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გააჩნია. იგი ორ სამინისტროს შორის თანამშრომლობის ინიციატივით გამოვიდა და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ზემოხსენებულ სამუშაო ჯგუფს შეუძლიათ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები საერთო ფორმატში მოაქციონ და მათთან მიმართებაში ერთობლივად იმოქმედონ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დირექტორმა ალექსანდრე არაყიშვილმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. ალექსანდრე არაყიშვილის თქმით, წელს საქართველოს, საფრანგეთსა და გერმანიას შორის თანამშრომლობის საფუძველზე ინტერპოლის გენერალურ სამდივნოში ორგანიზებულ დანაშაულზე სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფი „კონტარაივერები“ ჩამოყალიბდა, რომლის წარმომადგენლებიც წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებიან და ერთობლივ სამოქმედო გეგმებს აწყოფენ. ამასთან, იგეგმება ასევე ერთიანი ანალიტიკური ბაზის შექმნა, რომლის მეშვეობით გამოძიებლები და ორგანიზებულ დანაშაულზე მომუშავე პირები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან დამნაშავეების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას შეძლებენ. და ბოლოს, ალექსანდრე არაყიშვილმა ხაზი გაუსვა მომდევნო წლის ივლისში დაგეგმილი სამდღიანი კონფერენციის მნიშვნელობას, რომელსაც კანონიერ ქურდებზე მომუშავე სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები დაესწრებიან.

მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსმა ნიკოლოზ დგებუაძემ ყურადღება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოკვეთილ სირთულეებზე გაამახვილა. მისი განცხადებით, ქურდული სამყაროს მარეგულირებელი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული ქურდული სამყაროს განმარტება დახვეწას საჭიროებს. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქვეპუნქტში ნახსენები „დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების“ განმარტება არ არსებობს და, შესაბამისად, რთულია მათი ინტერპრეტირება. ასევე გაუგებარია ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტში მოცემული განმარტება, რომელშიც „ქურდული გარჩევა“ განხილულია როგორც „ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.“ საქმე ისაა, რომ დღევანდელი ქურდული სამყარო იმდენად დახვეწილი და კანონზე მორგებულია, რომ „ქურდული გარჩევისას“ მუქარა, იძულება და კანონსაწინააღმდეგო სხვა ქმედებები ნაკლებად გამოიყენება. შედეგად, მოსამართლეებს კანონიერი ქურდის პასუხისგებაში მისაცემად სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნიათ და მათთვის სათანადო განაჩენის გამოტანას ვერ ახერხებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა შალვა კვინიხიძემ დანაშაულის პრევენციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩართვის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით მასობრივ საშუალებებს საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. მან ხაზი გაუსვა ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროებას და დასძინა, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის პრევენციის ნაწილში სხვა საფრთხეებთან ერთად მიზანშეწონილი იქნება ტერორიზმის საფრთხის გათვალისწინებაც.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ახალი პროექტების განხილვის შემდეგ საბჭოს წევრებმა ორგანიზებული დანაშაულის სფეროში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. სხდომის თავმჯდომარემ შალვა ხუციშვილმა ყურადღება ოთხ გამოწვევაზე გაამახვილა. პირველ რიგში, თავმჯდომარე არასრულწლოვნებთან მიმართებაში დანაშაულის პრევენციის გაძლიერების საჭიროებას შეეხო. მან ხაზი გაუსვა ასევე უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების მნიშვნელობას, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და გაეროს ბავშვთა ფონდი ჩაერთვებიან. მესამე გამოწვევად შალვა ხუციშვილმა აზარტული თამაშები დაასახელა, ხოლო მეოთხე გამოწვევად კიბერდანაშაული განიხილა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ გარდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაში შეტანისა, კარგი იქნება, თუ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდება, რადგან დანაშაულის ეს ტიპი უფრო და უფრო საშიშ სახეს იღებს და ბევრად მეტ ყურადღებას მოითხოვს. გამოწვევებზე საუბრისას აქცენტი გაკეთდა ასევე ფულის გათეთრებისა და მიგრაციის პრობლემებზე. მართალია უკანონო მიგრაცია სისხლის სამართლის დანაშაულს არ წარმოადგენს, მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ ქვეყანაში უკანონოდ მყოფმა პირმა მონაწილეობა მიიღოს ორგანიზებულ დანაშაულში. მსგავსი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით სასურველია ვიზების ელექტრონულად გაცემის წესები შეიცვალოს ან საჭიროების შემთხვევაში გართულდეს.

სხდომის დასასრულს მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე წარმოდგენის შესაქმნელად სასურველია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის უწყებათშორის საბჭოში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარდა ასევე ფინანსთა სამინისტროს ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელი ჩაერთოს. ამასთან, საჭიროა მოხდეს კიბერდანაშაულის კუთხით პროკურორებისა და მოსამართლეების მომზადება და გაიზარდოს კიბერდანაშაულის სფეროში ექსპერტების რაოდენობა, რაც ექსპერტიზის პასუხებს მნიშვნელოვნად დააჩქარებს.